ოქმი:**ო63. 6326093001**
თარიღი:**03/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N 4

1 აპრილი. 2026 წელი.

მიმდინარე წლის 1 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონი თევზაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, მაია, ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ცომაია, როლანდ ეცადეიშვილი, ტარიელ დვალიშვილი, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მერის წარმომადგენელი გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულში - თემურ ჩაჩუა.

2. სოფელ გამოჩინებულის მე-5 ქუჩის მცხოვრებნი - მარინა ქორიძე, ირმა ქორიძე, ხათუნა მახარაძე, გიორგი ქორიძე, ალექსანდრე ქორიძე..

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6226072101 წერილობითი მომართვა.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე /

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (10 ხმით) და დღის წესრიგი იქნა

დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, სოფელ გამოჩინებულის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N 62-6226072101 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელდებას.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, სადაც ითხოვთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) ფილიმონ ქორიძის სახელი.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად ზემოაღნიშნულ საკითხს.

ყოველი გადაწყვეტილება, სახელდებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსახლეობასთან კონსულტაციას. შესაბამისად, ჩვენმა კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა გასვლითი სხდომა და მოსახლეობისთვის ეკითხა აზრი.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და სოფელი გამოჩინებულის მე-5 ქუჩის მცხოვრებლებმა.

თემურ ჩაჩუა- მადლობას გიხდით ყველას, ვინც ამ საქმეში იღებთ მონაწილეობას და მოხარული ვიქნებით თუ ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

ჯონი თევზაძე - როგორც მოსახლეობასთან კონსულტაციით ირკვევა, სოფელ გამოჩინებულის მცხოვრებნი ეთანხმებით და მიესალმებით, რომ მე-5 ქუჩას მიენიჭოს ფილიმონ ქორიძის სახელი.

ჩვენ მოვამზადებთ დოკუმენტაციას,სამთავრობო კომისიაში გასაგზავნად.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი და მიემართოს სამთავრობო კომისიას.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი